



გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ASSEMBLY MUNICIPALITY OF GARDABANI



განკარგულება:გ-19. 192503110

თარიღი:31/01/2025

განკარგულება N10
გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აკაკი ოსიაშვილისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის №9 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2025 წლის 20 იანვრის №11 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №31 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - აკაკი ოსიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი)ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის - შოთა ფერაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღდო ანგარიშსწორებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე: აკაკი ოსიაშვილი - 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი, პ/ნ 12001096527, GE32BG000000543081603; შოთა ფერაშვილი - 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი, პ/ნ 12001014639, GE98LB0711113715469001.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ.№ 6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედუხაური

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



